განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილების პროექტი:

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრული რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს მათ გამოწვევებს, გაატაროს თანმიმდევრული საჯარო და ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკა - ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად.

საქართველოს 14-დან 29 წლის მოზარდებისა და ახალგაზრდების (საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 1/5 - 688,792) ადამიანურ კაპიტალში[1] სათანადო სახელმწიფო რესურსის ინვესტირებისათვის და საზოგადოების ამ ასაკობრივი ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ მომზადა კონცეფციის[2] დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 2030 წლამდე 21 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა მიღწევაზე პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელსაც მოყვა 2015-2020 წლებისთვის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების გაძლიერებას და საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს სისტემურ მიდგომას. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ახალგაზრდების წინაშე კვლავ მწვავედ დგას არაერთი გამოწვევა, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, განათლებასა და დასაქმებას, რესურსებსა და შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. ახალგაზრდული პოლიტიკის ტრანსვერსალური ხასიათიდან გამომდინარე (გამჭოლია სხვა სექტორებში წარმოებულ საჯარო პოლიტიკასთან) გამოწვევას წარმოადგენს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის

---

[1] *2019 წლის საქსტატის მონაცემებით 14-დან 29 წლის ასაკობრივი ჯგუფი წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20% - 688,792 მოქალაქე (52% - მამაკაცი, 48% ქალი).*

[2] „კონცეფცია არის პარლამენტის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესახებ ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტი“, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მუხლი 132, პუნქტი 1.

ეფექტიანი მართვის და პროცესებში სათანადო კოორდინაციის (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) უზრუნველყოფა ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

2019 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომიტეტთან შეიქმნა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი“[3], რომელმაც გააერთიანა სფეროში მოქმედი სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო და სხვა ტიპის დაწესებულებათა წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ხელშეწყობით და საქართველოში გაეროს ორგანიზაციების (UNFPA, UNDP, UNIDO, UNICEF, ILO) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით კომიტეტმა მოამზადა/ჩატარდა:

- საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (2015-2020 წწ) შესრულების მდგომარეობის შეფასება (იხ.: http://bit.do/fqaKF)
- საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის მართვისა და კოორდინაციის კვლევა (იხ.: http://bit.do/fqaMU)
- ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოწინავე გამოცდილების შედარებითი ანალიზი (http://bit.do/fqaNr)
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების კვლევა: იმერეთის რეგიონის და თბილისის თვითმმართველობებში (http://bit.do/fqaMj), რომელიც მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის მხარდაჭერით
- საქართველოს 12 თვითმმართველ ერთეულში 300-მდე ახალგაზრდასთან (19-29 წლის) საკონსულტაციო შეხვედრები, ასევე 1400-მდე მოზარდის (14-18 წლის) ელექტრონული გამოკითხვა (კონსულტაციების და გამოკითხვის ანგარიშები იხილეთ: https://bit.ly/2U7SE0a)

ზემოხსენებული კვლევებისა და ახალგაზრდებთან ჩატარებული კონსულტაციის შედეგად დადგინდა მოქმედი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის ხარვეზები და ნაკლოვანებები, ასევე განისაზღვრა ახალგაზრდების საჭიროებები, მათ წინაშე არსებული გამოწვევები და მათი პრიორიტეტები. საქართველოს პარლამენტის „2020-2030 წლებისთვის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ პროექტი, რომელიც მომზადდა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე განსაზღვრავს მომდევნო წლებში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად ამოცანებს.

საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 28 მარტს დამტკიცებული დოკუმენტისგან „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა“ განსხვავებით, პარლამენტის კონცეფციის დოკუმენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ 2030 წლამდე შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს. კონცეფციის დოკუმენტის მეშვეობით საქართველოს

[3]კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულება -http://bit.do/fqaFS, სამუშაო ჯგუფის დებულება - http://bit.do/fqaFC, ჯგუფის წევრების შესახებ ინფომრაცია -http://bit.do/fqaGi

პარლამენტი ადგენს ახალგაზრდულ სფეროში განსახორციელებელი რეფორმების დღის წესრიგს და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განსაზღვრული ამოცანების შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი. კონცეფციის დამტკიცებით, ინსტიტუციურ ჭრილში, საგრძნობლად გაიზრდება საკანონმდებლო ორგანოს პროაქტიული მონაწილეობა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ხელშეწყობაში.

ნიშანდობლივია, რომ კონცეფციის დოკუმენტის პროექტი დამტკიცება და მისი აღსრულება ხელს უწყობს გაეროს მდგარდი განვითარების მიზნებსა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების (თავი 16. „განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა“), ასევე ევროპის საბჭოს მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია ემსახურება:

- ახალგაზრდების ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის, მრავალმხრივი განვითარებისა და თვითრეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას

- საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას

- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის სრულყოფას.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 21 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტით მტკიცდება ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების - როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების - მონაწილეობა და ღირსეული დასაქმება, დაცულია მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რესურსები და განვითარების შესაძლებლობები.

ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები და მოსალოდნელი შედეგები:

<u>პრიორიტეტი 1. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა. მოსალოდნელი შედეგები:</u>

1.1: ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაზრდილია
1.2: ახალგაზრდების ჩართულობა მოხალისეობრივ საქმიანობაში გაზრდილია
1.3: ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის.

<u>პრიორიტეტი 2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგები:</u>
2.1: საქართველოში დანერგილია და ამოქმედებულია ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი
2.2: ხარისხიანი არაფორმალური განათლების შესაძლებლობები ხელმისაწვდომია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე
2.3: ახალგაზრდების ჩართულობა მობილობის აქტივობებში გაზრდილია.

<u>პრიორიტეტი 3. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მოსალოდნელი შედეგები:</u>
3.1: ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების (ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავად მოხმარების, აზარტულ თამაშებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებზე დამოკიდებულების) მაჩვენებლები შემცირებულია
3.2: რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ახალგაზრდების ცნობიერების დონე გაზრდილია
3.3: ბავშვთა/ადრეული ქორწინების და მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები შემცირებულია.
3.4: ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობა გაუმჯობესებულია
3.5: მოზარდებისა და ახალგაზრდების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა და დისკრიმინაცია შემცირებულია
3.6: ახალგაზრდებისთვის რეკრეაციულ ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია
3.7: ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის დონე გაზრდილია და ჭარბწონიანობის მაჩვენებელი შემცირებულია.

<u>პრიორიტეტი 4. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება. მოსალოდნელი შედეგები:</u>
4.1: ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად შემცირებულია
4.2: განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების წილი მნიშვნელოვნად შემცირებულია
4.3: დასაქმებასა და სამუშაო ძალაში ახალგაზრდების მონაწილეობის უთანაბრობა შემცირებულია
4.4: ახალგაზრდების დასაქმების და სამუშაოზე მიღების არასათანადო პრაქტიკა შემცირებულია
4.5: ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონე ამაღლებულია.

<u>პრიორიტეტი 5. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა. მოსალოდნელი შედეგები:</u>
5.1: ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე წარმოებული ახალგაზრდული პოლიტიკა ეფუძნება მტკიცებულებებს და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას
5.2: სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისას უწყებების კოორდინაცია გაუმჯობესებულია

5.3: ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის და პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოფილია ახალგაზრდების მონაწილეობა
5.4: სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების და მონიტორინგის სისტემა გაუმჯობესებულია.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან მიმართებით, დადგენილების პროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ;

ა.ე) დადგენილების პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო დადგენილებისათვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (2015-2020 წლებისთვის) ვადა წლის ბოლოს ეწურება. დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლა ხელს შეუწყობს, მიმდინარე წლის ბოლომდე, საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას დაგეგმოს 2021 წლიდან განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებები (კონცეფციის გათვალისწინებით) და ასახოს საჭირო ასიგნებები 2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში, ასევე ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებები დოკუმენტში (BDD).

გათვალისწინებული არაა უკუძალის მინიჭების საკითხი.

ა.ვ)დადგენილების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორი არ ითხოვს დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები და ევროკავშირის, ასევე ახალგაზრდობის საკითხებზე მოქმედი გაეროს საკოორდინაციო ჯგუფის წევრების ტექნიკური მხარდაჭერა. რაც შეეხება შემდგომ საშუალო ვადიან პერიოდს, დაფინანსების წყაროები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენა დამოკიდებული იქნება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე და დაფინანსების წყაროებზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კონცეფცია ითვალისწინებს 2030 წლამდე ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან, მთელი რიგი ამოცანების გადაჭრასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. დადგენილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ კონცეფციის პრიორიტეტების შესაბამისად, 2021 წლის 1 აპრილამდე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება. სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდება სსიპ „საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში, ევროკავშირისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მოქმედი გაეროს საკოორდინაციო ჯგუფის წევრების ტექნიკური მხარდაჭერით. რაც შეეხება შემდგომ საშუალო ვადიან პერიოდს, გავლენა განისაზღვრება მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, დადგენილების პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

დადგენილების მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია დადგენილების პროექტის განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

პირებზე შესაბამისი ფინანსური გავლენა დამოკიდებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებზე.

ბ.ვ) დადგენილების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

დადგენილებით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
დადგენილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
დადგენილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. დადგენილების აღსრულება ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემდეგი დოკუმენტების შესრულებას:

- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და 2030 წლის დღის წესრიგი
- გაეროს ახალგაზრდული სტრატეგია 2030 „მუშაობა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდა ადამიანებთან ერთად“
- ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს რეკომენდაციები: CM/Rec(2017)4, CM/Rec(2016)7, CM/Rec(2015)3, CM/Rec(2010)7, Rec(2006)14, Rec(2004)13, Rec(2003)8

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება დადგენილების პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, დადგენილების პროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი აქტი არ არსებობს

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

1. *„სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის“ წევრები - 54 წარმომადგენელი (შემადგენლობა იხილეთ: https://bit.ly/2XXTPk8)*

2. *საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები: UNFPA, UNICEF, UNDP Good Governance Fund, UNIDO, ILO, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, NDI, USAID, IRI, Danish Refugee Council, World Vision Georgia, Save the Children Georgia, SIDA – Swedish International Development Agency, Fridrich Ebert Fund, People in Need*
3. *სამოქალაქო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები*
4. *ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები*
5. *დარგის ექსპერტები*
6. *საქართველოს 12 თვითმმართველ ერთეულში (გორი, მარნეული, დუშეთი, თელავი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ამბროლაური, ზუგდიდი, მესტია, ბათუმი, თბილისი) 300-მდე ახალგაზრდასთან (19-29 წლის) საკონსულტაციო შეხვედრები, ასევე 1400-მდე მოზარდის (14-18 წლის) ელექტრონული გამოკითხვა*

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროცესში ჩართული მხარეების მოსაზრებები და პოზიციები გათვალისწინებულია კონცეფციის პროექტში. პარლამენტში დადგენილების ინფიცირებამდე, მიმდინარე წლის 25 მაისს, ჩატარდა „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის“ ვიდეო-კონფერენცია, რომლის ფარგლებში მოხდა დოკუმენტის პროექტის პრეზენტაცია და წევრთა მოსაზრებების გათვალისწინება. ამასთან, კონცეფციის პროექტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი მოსაზრებები (26 მაისიდან 3 ივნისი ჩათვლით კონცეფციის პროექტზე მოსაზრებების მიღების მიზნით დოკუმენტი განთავსებული იყო საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://bit.ly/3eOkw1c)

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი დადგენილების პროექტის იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული დადგენილების პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ გაკეთებულა

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრები: მიხეილ ყაველაშვილი, ირინე ფრუიძე

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრები: მიხეილ ყაველაშვილი; ირინე ფრუიძე; გენადი მარგველაშვილი; შოთა ხაბარელი; ირაკლი აბუსერიძე; მუხრან ვახტანგაძე; ნინო წილოსანი; თენგიზ ხუბულური; გიორგი თოთლაძე; ცოტნე ზურაბიანი; გიორგი კოპაძე; კობა ნაკაიძე; ლევან კობიაშვილი; ზაზა გაბუნია; ირაკლი ხახუბია; გოგა გულორდავა; კობა ლურსმანაშვილი;

დავით მათიკაშვილი; ედიშერ თოლორაია; დიმიტრი მხეიძე; თეიმურაზ კოხრეიძე; ვიქტორ ჯაფარიძე; შალვა კიკნაველიძე; ირაკლი სესიაშვილი; ილია ნაკაშიძე; გოდერძი ჩანქსელიანი; ისკო დასენი; გელა სამხარაული; რომან მუჩიაშვილი; ირაკლი შიოლაშვილი; თამაზ ნავერიანი; ირაკლი (დაჩი) ბერაია; მერაბ ქვარაია; ლევან მგალობლიშვილი; ფატი ხალვაში; რევაზ არველაძე; თეიმურაზ ჭკუასელი; გივი ჭიჭინაძე; გურამ მაჭარაშვილი; ენძელა მაჭავარიანი; ვალერი გელაშვილი; ლერი ხაბელოვი; სვეტლანა კუდბა; ვლადიმერ კახაძე; გუგული მაღრაძე; კახაბერ კუჭავა; არჩილ ხაბაძე; ირაკლი ბერაია; ირაკლი მეზურნიშვილი; სულხან მახათაძე; ზურაბ ხაჩიძე; მამუკა მდინარაძე.